ნანა მაკარაძე - პროფესორი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მარინე გურგენიძე - ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნათია მაკარაძე - გამგე, ბათუმის №35 საბავშვო ბაღი, ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება
ანანო დიასამიძე - სტუდენტი, ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აღმზრდელ-პედაგოგთა მზაობა ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოსთვის

სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში აღმზრდელ-პედაგოგს მნიშვნელოვანი როლი აკისრია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განვითარებისა და სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობაში. აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტით (2017) განსაზღვრული პროფესიული მახასიათებლების თანახმად, აღმზრდელ-პედაგოგმა უნდა იცოდეს „ინკლუზიური განათლების სფეროში არსებული კანონმდებლობა და ინკლუზიური განათლების პრინციპები“, ასევე, იცნობდეს „სხვადასხვა სახის დარღვევებს, რაც ხელს უშლის ბავშვის სწავლასა და დამოუკიდებელ ფუნქციონირებას; ხელს უწყობს სსსმ ბავშვის სწავლასა და განვითარებას“. ამავე დოკუმენტის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო გარემოსა და პროცესის ნაწილში განსაზღვრულია, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს აღმზრდელ-პედაგოგმა ბავშვის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა, კეთილგანწყობილი, ინკლუზიური გარემოს შექმნა, ბავშვთან დაკავშირებულ ყველა მხარესთან თანამშრომლობა და სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა.

აღმზრდელ პედაგოგთა კომპეტენციების განვითარება და შესაბამისი პოლიტიკის განხორციელება აუცილებელია სსსმ ბავშვთა სრულფასოვანი განვითარებისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად. თანამედროვე საზოგადოებაში ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა იზრდება, თუმცა ამავდროულად, იკვეთება პრობლემები სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში გარემოსა და რესურსების ადაპტაციასთან, სააღმზრდელო პროცესში სსსმ ბავშვთა სრულ ჩართვასთან, ინდივიდუალური გეგმების შედგენასა და ინდივიდუალიზაციასთან დაკავშირებით. დასახელებული პრობლემების უმრავლესობა უშუალო კავშირშია ინკლუზიური განათლების მიმართულებით აღმზრდელ-პედაგოგთა კომპეტენციებთან.

კვლევის მიზანია ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოსთვის აღმზრდელ-პედაგოგთა მზაობის შესწავლა და არსებული გამოწვევების გამოვლენა, კერძოდ, რა კომპეტენციები უნდა ჰქონდეთ და რა - აქვთ აღმზრდელ-პედაგოგებს ადრეული და სკოლამდელი განათლების საფეხურზე ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველსაყოფად, რა გამოწვევებისა და საჭიროებების წინაშე დგას ამ მიმართულებით სკოლამდელი განათლების სისტემა და რა გზებით/საშუალებებითაა შესაძლებელი არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება.

კვლევის მეთოდოლოგია: რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა აღმზრდელ-პედაგოგებისა და სპეციალური მასწავლებლების ანკეტური გამოკითხვა, თვისებრივი კვლევის ფარგლებში კი - ფოკუს ჯგუფები აღმზრდელ-პედაგოგებთან, სპეციალურ მასწავლებლებთან, ბაღის გამგეებთან და მეთოდისტებთან, განხორციელდა ბაღის გარემოზე, პროცესსა და რესურსებზე დაკვირვება.

ძირითადი მიგნებები: სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიზიკური გარემო და სასწავლო რესურსები არ არის სრულად მორგებული სსსმ ბავშვების მოთხოვნებზე; გამოვლინდა სპეციალიზებული სასწავლო მასალების, ტექნიკური საშუალებებისა და ადამიანური რესურსების სიმწირე; გამოწვევად რჩება სსსმ ბავშვების სრულფასოვანი ინტეგრაცია აღზრდისა და განათლების პროცესში; ხშირად ვერ ხერხდება აღზრდა-განათლების პროცესის საკმარისად მორგება თითოეული ბავშვის უნიკალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე; გამოიკვეთა აღმზრდელ-პედაგოგთა უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობა ინკლუზიური განათლების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: აღმზრდელ-პედაგოგი, ხარისხიანი ინკლუზიური განათლება, კომპეტენცია, სსსმ ბავშვი, ისგ, ინდივიდუალიზაცია.

Nana Makaradze - Professor, Department of Pedagogical Sciences, Faculty of Exact Science and Education, Batumi Shota Rustaveli State University.
Marine Gurgenidze - Associate Professor, Department of Pedagogical Sciences, Faculty of Exact Science and Education, Batumi Shota Rustaveli State University.
Natia Makaradze – Manager, Batumi Kindergarten No. 35, Association of Batumi Kindergartens
Anano Diasamidze - Student, Undergraduate Educational Program of Psychology, Faculty of Law and Social Sciences, Batumi Shota Rustaveli State University

Early childhood educators' Readiness for an Inclusive Educational Environment

Early childhood teacher-educators have an important role in promoting the development and full integration of children with special educational needs in pre-school educational institutions. According to the professional characteristics defined by the Early Childhood Educator Professional standard (2017), teacher-educator must know "the existing legislation in the field of inclusive education and the principles of inclusive education". Additionally, they must be familiar with "various types of deviations that prevent a child's learning and independent functioning; that contribute to the learning and development of a child with special needs. "The mentioned document, in the part regarding the educational environment and process, defines the approaches teacher-educators should implement in order to ensure the following: protection of health and safety of the child, creation of a benevolent and inclusive environment, cooperation of different parties as they relate to the child, and the effectiveness of the educational process.

The development of the competencies of early childhood teacher-educators and the implementation of relevant policies are crucial for ensuring the full development and integration of children with special needs. Even though inclusive education is gaining more and more importance in modern society, problems still arise regarding the adaptation of the environment and resources in preschool educational institutions, complete inclusion of children with special needs in the educational process, and the creation of individual plans and individualization. Most of the above mentioned problems are directly linked to the level of early childhood teacher-educator competencies in the inclusive education field.

The purpose of the research is to study the readiness of teacher-educators for an inclusive educational environment and to reveal the existing challenges. In particular, the study zeroes in on the competencies teacher-educators should have to ensure quality inclusive education at the level of early and preschool education, as well as the ones they already possess. Additionally, the research aims to uncover the challenges and needs the preschool education system faces in this direction and the means to improve the current situation.

Research Methodology: within the framework of a quantitative research, a questionnaire survey of educators and special teachers was conducted, while qualitative research focused on observing the kindergarten environment, educational process and resources. The focus groups for the latter included groups of early childhood educators, special teachers, kindergarten managers and methodologists.

Main Findings: the physical environment and learning resources in preschool educational institutions are not fully adapted to the needs of children with special needs. The scarcity of specialized training materials, technical means and human resources was revealed. Full integration of students with special needs in the process of upbringing and education remains a challenge. Oftentimes, educational processes are not sufficiently adapted to the unique needs and abilities of each child; The need for continuous professional development of early childhood educators in the direction of inclusive education was stressed.

Keywords: early childhood teacher-educator, quality inclusive education, competence, SEN (Special Education Needs) Child, IEP (Individual Education Plan), individualization.